



ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

წლიური სამეცნიერო ანგარიში 2008



თბილისი 2008

ილ.ჭავჭავაძის გამზ. 3, თსუ II კორ. 0128 თბილისი,

1. მნიშვნელოვანი მოვლენები და ფაქტები

8 იანვარი - სამეცნიერო სემინარები კოსმოლოგიის აქტუალურ საკითხებში

8-11 იანვარს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე გაიმართა ნიუ-იორკის უნივერსიტეტის პროფესორის, შვეიცარიაში ბირთვული კვლევების ევროპული ცენტრის პროფესორის, **გიორგი დვალის** სამეცნიერო საუნივერსიტეტო სემინარები კოსმოლოგიის აქტუალურ საკითხებში. სემინარებმა დიდი ინტერესი გამოიწვია როგორც თსუ სტუდენტთა და პროფესორთა, ასევე ფართო საზოგადოების წრეებში.



3 თებერვალი - შეხვედრა საოლიმპიადო გუნდებთან ფიზიკაში

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე გაიმართა შეხვედრა **საოლიმპიადო გუნდებთან** ფიზიკაში;

7 თებერვალი - "საბავშვო უნივერსიტეტის" პირველი ლექცია

"საბავშვო უნივერსიტეტის" ფარგლებში ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი და თსუ სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტი მასპინძლობდა რუსთავის საჯარო სკოლების მოსწავლეებს. პროფესორმა გაია მაჩაბელმა მოსწავლეებს წაუკითხა ლექცია თემაზე "არსებობენ თუ არა სხვა ცივილიზაციები?". მოსწავლეები გაეცნენ ფიზიკის სასწავლო ლაბორატორიებს, სადაც ლაბორატორიის გამგეებმა იური პაპავამ და რამაზ ლომსაძემ ლაბორატორიის თანამშრომლებთან ერთად ბავშვებს უჩვენეს ფიზიკის სადემონსტრაციო ცდები. პროფესორმა შალვა საბაშვილმა ბავშვებს მოუთხრო ასტრონომიის შესახებ და დაათვალიერებინა თსუ პლანეტარიუმი, რამაც მოსწავლეების დიდი ინტერესი გამოიწვია.



8 აპრილი - მათე მირიანაშვილის მოგონება



მათე
მირიანაშვილი
100

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ფიზიკის მიმართულებაზე შედგა გამოჩენილი ქართველი მეცნიერის, ფიზიკოსის მათე მირიანაშვილის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი მოსაგონარი საღამო. შედგა ქართველ ფიზიკოსთა მიღება, რომელზეც მრავალმა მისმა მოსწავლემ და გამოჩენილმა ადამიანმა მოიყარა თავი. დასასრულს, მათე მირიანაშვილის სახელობის ფიზიკის დიდ აუდიტორიაში გაიმართა ღვაწლმოსილი პედაგოგის და მეცნიერის მოსაგონარი საღამო.

14 აპრილი - საგრანტო პროექტების სადემონსტრაციო დღე



გაიმართა საგრანტო პროექტების ანგარიშებისთვის სადემონსტრაციო დღე გეოგრაფიის მიმართულებით

მომხსენებელი	საგრანტო თემის სახელწოდება
ელიზბარაშვილი მარიამი	ურეკი-შეკვეთილის საკურორტო ზონის კომპლექსური ეკოლოგიური და მიკროკლიმატური გამოკვლევა
გობეჯიშვილი რამინი	საქართველოს ნაციონალური ატლასი
ბილაშვილი კახა	სამხრეთ ევროპის ზღვები
ბილაშვილი კახა	საოკეანო და საზღვაო მონაცემთა მენეჯმენტის პანევროპული ინფრასტრუქტურა
ბილაშვილი კახა	შავი ზღვის სამეცნიერო ქსელი
ბილაშვილი კახა	შავი ზღვის რეგიონში ოკეანოგრაფიული მომსახურების საოპერაციო სტატუსის მიმართულებით შესაძლებლობათა ზრდის დამხმარე პროგრამა;
ელიზბარაშვილი ნოდარი	ლანდშაფტური დაგეგმარება სამხრეთ კავკასიის რეგიონში
ელიზბარაშვილი ნოდარი	აღმოსავლეთ საქართველოს ტყიანი ტერიტორიების ლანდშაფტურ-ეკოლოგიური კვლევა ტყეთსარგებლობის ზონირებისა და დაგეგმარებისათვის

15 აპრილი - შეხვედრა საფრანგეთის ელჩთან ბატონმა ერიკ ფურნიესთან

მრგვალი მაგიდის ფორმატში შედგა შეხვედრა საფრანგეთის ელჩთან, ბატონმა ერიკ ფურნიესთან ბირთვული რადიაციის უსაფრთხოების და ეკოლოგიის საკითხებზე: "ატომური ენერგეტიკა და ეკოლოგია". შეხვედრა ორგანიზებული იყო ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტისა და ოსუ სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის მიერ. შეხვედრას ესწრებოდა ოსუ რექტორი პროფ. გიორგი ხუბუა, გარემოს დაცვის სამინისტროს წარმომადგენლები, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლები. შეხვედრაზე გამოითქვა მოსაზრება ოსუ და საფრანგეთის საელჩოს შესაძლო თანამშრომლობის შესახებ ეკოლოგიის დარგში. საფრანგეთის ელჩმა გამოთქვა მზადყოფნა ეკოლოგიის მიმართულებით საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების განხორციელებაში მხარდაჭერისთვის.

21 აპრილი - საგრანტო პროექტების სადემონსტრაციო დღე



21-22 აპრილს II კორპ. სასემინარო დარბაზში გაიმართა ფიზიკის მიმართულებით სამეცნიერო პროექტების საანგარიშო/სადემონსტრაციო დღე. პროექტების ხელმძღვანელებმა წარმოადგინეს პროექტების სამეცნიერო ანგარიშები. სადემონსტრაციო დღეს ესწრებოდა საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მონიტორინგის სამსახურის უფროსი ბ-ნი ზურაბ ხიდაშელი.

მომხსენებელი	საგრანტო თემის სახელწოდება
ზარიძე რევაზი	დედამიწის ზონდირებისათვის მაღალი გარჩევადობის რადარული მოწყობილობის და გადაწყვეტილების მიღების ინტეგრირებული სისტემის შემუშავება წყალგაყვანილობის რეკონსტრუქციისათვის
ზარიძე რევაზი	The Rural Wings
კაკულია დავითი	ელექტრომაგნიტური დაბინძურება და ჯანმრთელობის უსაფრთხოების გამოკვლევა

კაკულია დავითი	გაუმჯობესებული ელექტრომაგნიტური პირდაპირი და შებრუნებული მოდელირების მიდგომები ზედაპირს ქვემოთ მდებარე ობიექტების დეტექტირებისა და გამოვლენისათვის,
ქარქაშაძე დავითი	მეტანივთიერებების მოდელირება და სინთეზი ელექტრომაგნიტიზმსა და ოპტიკაში
ბუთხუზი თამაზ	p-i-n გადასასვლელის მიღება რადიკალურ-სხივური კვაზიეპიტაქსისის მეთოდით ZnSe/ZnO, ZnO/ZnO, ZnS/ZnO ნახევარგამტარულ სტრუქტურებზე
ბუთხუზი თამაზ	ZnMnSe/ZnO და ZnMnTe/ZnO სტრუქტურების მიღება რადიკალურ-სხივური კვაზიეპიტაქსისის მეთოდით
ალადაშვილი დავით	კვანტური არაომური ტრანსპორტი მოუწესრიგებელ სისტემებში
დავარაშვილი ომარ	დიელექტრიკული მდგომარეობის შექმნა ვიწროზონიან IV-VI ნახევარგამტარებში,
ქაჩლიშვილი ზაურ	არაწრფივი ეფექტების გამოკვლევა ნახევარგამტარში ძლიერ ელექტრულ და მაგნიტურ ველებში ადვილად მართვადი აქტიური ელემენტების შესაქმნელად
ხომერიკი რამაზი	ახალი ეფექტები არაწრფივ ოპტიკურ არეებსა და მესერებში
ნიორაძე მიხეილი	ატომური და რადიაციული უსაფრთხოებისა და ატომური ტექნიკის გასაზღვრად ეფექტური საშუალებების კვლევა-ძიება და განვითარება
ნიორაძე მიხეილი	ნუკლონ-ნუკლონური ურთიერთქმედების სპინური სტრუქტურის შესწავლა COSY ამაჩქარებელზე
ჯობავა თამარი	ატლას ექსპერიმენტის მგრძობიარობა ახალი ფიზიკის მიმართ
ხელაშვილი ანზორი	სპინის ფიზიკა: ღრმად- არადრეკადი პროცესები და პოლარიზაციული მოვლენები
კეკელიძე ნოდარი	სამხრეთ კავკასიის მდინარეების მონიტორინგი,
კერესელიძე თამაზი	ციურ სხეულებში კვაზიმოლეკულების რადიაციული მახასიათებლები
შენგელაია ალექსანდრე	მაღალტემპერატურული ზეგამტარი კუპრატებისა და მასთან დაკავშირებული ნაერთების ნანო-მასშტაბური თვისებების კვლევა მაგნიტური რეზონანსის მეთოდით
უგულავა არჩილი	შეუქცევადობა ქაოსურ კვანტურ-მექანიკურ სისტემებში რეზონატორების კვანტური ელექტროდინამიკისა და ფლოკე-სისტემების მაგალითზე
უგულავა არჩილი	არაწრფივი სისტემების ქაოსური დინამიკა და მაგნიტური რელაქსაციური პროცესები ახალ პერსპექტიულ მასალებში
ღვედაშვილი გიორგი	პერსონალური საკომუნიკაციო სისტემების მეტალო-დიელექტრიკულ ანტენათა გამოკვლევა ელექტრომაგნიტური შემთავსებლობის და მომხმარებლის ჯანმრთელობის მაქსიმალური უსაფრთხოების თანამედროვე ნორმების შესაბამისად
ღვედაშვილი გიორგი	სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის ქსელური ინფრასტრუქტურის განვითარება და დისტანციური სწავლების დანერგვა ოსუ-ში

7 მაისი - შეხვედრა ბიზნეს სექტორთან

სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის და ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მიერ ორგანიზებული იყო შეხვედრა ბიზნეს-სექტორთან, რომელზეც წარმოდგენილი იყო **ინოვაციური პროექტები**. შეხვედრაზე წარმოდგენილი იყო პოსტერის სახით გაფორმებული ფიზიკის, ქიმიის ბიოლოგიის, ინფორმატიკის 30-მდე სამეცნიერო პროექტი, რომელშიც

გარდა აკადემიური პერსონალისა ვრცლად იყო წარმოდგენილი ოსუ საგრანტო პროექტებში მონაწილე პერსონალის სამეცნიერო პროდუქცია.

ავტორი	პროექტის დასახელება
თემურ ახალკაცი	ეკოლოგიური გაზოანალიზი ახალი ტიპის კვარცული ვიბრატორის გამოყენებით
ცირა ბერუაშვილი	ახალი ტიპის კალიუმის შემცველი სასუქის წარმოება
თამაზ ბუთხუზი	მაღალი ტექნოლოგიები
მერაბ ჯიბლაძე	ფაზერი
ნუგზარ დოლიძე	მუხის მერქნის დამუშავების მეთოდი საკონიაკე სპირტის დასავარგებლად
დიანა ძიძიგური	იმუნური სიტემის კორექციის მცენარეული ბიოდანამატის შემუშავება
ალექსანდრე გამყრელიძე	სკანირებული ქართული დოკუმენტის ტექსტურ ფაილად გარდამქმნელი პროგრამა
გიორგი ღვედაშვილი	პერსონალური საკომუნიკაციო სისტემების ახალი ტიპის ანტენები
დავით კაულია	ელექტრომაგნიტური სენსორებით აუფეთქმელი ჭურვების და ნაღმების იდენტიფიცირების მეთოდიკის სრულყოფა
რიჩარდ მეგრელიშვილი	კრიპტოგრაფიული დასაიდუმლოება და ელექტრონული ხელმოწერა
ომარ მუკბანიანი	შენობებისა და ხუროთმოძღვრების ძეგლების ჰიდროფობიზაცია; პოლიმერული საფარების შემუშავება ციტრუსების ხანგრძლივი შენახვისათვის; აქტიური შემავსებლების მიღება საქართველოს ბუნებრივი ნედლეულიდან და კომპოზიციური მასალები მათ ბაზაზე; საწარმო – “სილიციუმორგანული ნაერთები” ახალი ტამპონაჟური სისტემები ნავთობის მოპოვებისათვის მიწვის საწინააღმდეგო მასალები და საფარველები
ლევან შოშიაშვილი	TEX- დოკუმენტის მომზადების, სტრუქტურული პროგრამირების ენა
კახაბერ თავზარაშვილი	ნანო-ოპტიკური მოწყობილობები
დავით ტულუში	ბაქტერიციდული პოლიმერული წებო
თენგიზ (გიზო) ურუშაძე	ნიადაგის ხარისხობრივი შეფასება
ანზორ ვეფხვაძე	კომუნალური აღრიცხვის ინფორმაციული სისტემა; ავტომატური დოზატორი(ოდორიზატორი)
ედუარდ ჩიკვაძე	ღვინის ანტიოქსიდანტური აქტივობისა და ძირითადი ანტიოქსიდანტური ნაერთების რაოდენობრივი განსაძღვრა

1 იენსი - შეხვედრა ჯეოსელთან



1 იენისს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული "საბავშვო უნივერსიტეტის" ფარგლებში, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით მოეწყო შეხვედრა **ჯეოსელთან**. პროფ. ოლეგ ნამიჩეიშვილმა წაიკითხა ლექცია თემაზე: "მობილური კავშირგაბმულობა-მიღწევები და პრობლემები". ლექციის

შემდეგ მოეწყო საბავშვო ვიქტორინა და ბავშვებს გადაეცათ სიმბოლური პრიზები.

2 ივნისი - შეხვედრა სალერნოს უნივერსიტეტის დოქტორთან

2 ივნისს კომპიუტერული მეცნიერებების მიმართულებას სტუმრობდა სალერნოს (იტალია) უნივერსიტეტის დოქტორი - ლუკა სპადა. მიმართულების სემინარზე მან გააკეთა მოხსენება "ფიქსირებული წერტილები კომპიუტერულ მეცნიერებებში: მრავალნიშნა ლოგიკის მიხედვით".

9 ივნისი - შეხვედრა "Nova-Science"-ის ვიცე-პრეზიდენტთან

ჯავახიშვილის სახელობის დარბაზში შედგა უნივერსიტეტის პროფესორთა შეხვედრა ამერიკულ საგამომცემლო კომპანია "Nova-Science"-ის ვიცე-პრეზიდენტთან ქალბატონ ნადია გოცირიძე-კოლაშოსთან. შეხვედრაზე მოეწყო ინგლისურენოვანი ქართული სამეცნიერო ჟურნალის პრეზენტაცია და განხილული იქნა "Nova-Science"-თან თანამშრომლობის პერსპექტივები.

<https://www.novapublishers.com/catalog/index.php>


15-22 ივნისი - ბათუმის II სკოლა-სემინარი

ქ.ბათუმში ჩატარდა სემინარი "ბიომედიცინის აქტუალური პრობლემები", რომელიც ორგანიზებული იყო ოსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ფოზიკურ-ქიმიური ბიოლოგიის მიმართულებისა და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და მედიცინის ფაკულტეტის მიერ. საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარეები: დავით მიქელაძე, რუსუდან ხუხუნაიშვილი, თანათავმჯდომარეები: ნანა კოტრიკაძე, გუგული დუმბაძე.

25 ივნისი - ვაგან მამასახლისოვის მოგონება

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ფიზიკის მიმართულებაზე შედგა გამოჩენილი ქართველი მეცნიერის, ფიზიკოსის **ვაგან მამასახლისოვის** 100 წლისთავისადმი მიძღვნილი მოსაგონარი საღამო.

28 ივლისი - 5 აგვისტო - საზაფხულო სკოლა



28 ივლისიდან 5 აგვისტომდე ოსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე ნიუ იორკის უნივერსიტეტის პროფესორი, შვეიცარიაში ბირთვული კვლევების ევროპული ცენტრის პროფესორი **გიორგი დვალმა** გაიმართა **საზაფხულო სკოლა** კოსმოლოგიის აქტუალურ საკითხებში. ლექციებს ესწრებოდნენ ოსუ ბაკალავრიატის და მაგისტრატურის სტუდენტების, აგრეთვე სხვა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები.

4-5 აგვისტო - შეხვედრა კარლსუეს უნივერსიტეტის პროფესორთან

4 და 5 აგვისტოს გერმანიის კარლსუეს უნივერსიტეტის მყარი სხეულის ფიზიკის ინსტიტუტის პროფესორმა **კურტ ბუმმა** წაიკითხა მოხსენება კარლსუეს უნივერსიტეტის საბაკალავრო პროგრამების შესახებ ფიზიკის მამართულებაზე. შეხვედრას ესწრებოდნენ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორ მასწავლებლები და ფაკულტეტის წარმომადგენლები.

20 სექტემბერი - შეხვედრა ომით დაზარალებული რეგიონების ბავშვებთან

მოეწყო შეხვედრა ცხინვალის და გორის რეგიონიდან ომით დაზარალებულ ბავშვებთან. ბავშვებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა ოსუ რექტორმა პროფ. გიორგი ხუბუამ. ბავშვებმა დაათვალიერეს ფიზიკის და ქიმიის სასწავლო ლაბორატორიები.

26 სექტემბერი - იოთამ ქარცივამის მოგონება

ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტში გაიმართა გამოჩენილი მათემატიკოსისა და მექანიკოსის პროფესორ იოთამ (ბიბი) ნიკოლოზის ძე ქარცივამის დაბადებიდან 90 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო სხდომა.

9 ოქტომბერი - გვანჯი მანიას მოგონება

ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტში შედგა გამოჩენილი მათემატიკოსის, პროფესორ გვანჯი მიხეილის ძე მანიას დაბადებიდან 90 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო სხდომა.

3. სამეცნიერო გრანტები

ქვემოთ მოცემულია ინფორმაცია 2008 წლიდან საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტების შესახებ:

№	ხელმძღვანელი	პროექტის სახელწოდება
1	თამარ ჯობავა	ATLAS ექსპერიმენტის მგრძობიარობა ახალი ფიზიკის მიმართ
2	ნინო ფორაქიშვილი	CD+4 ციტოტოქსიური T უჯრედებით განპირობებული იმუნური პასუხები უჯრედული ქრონიკული ლიმფოციტური ლეიკემიის (B-ქლლ) დროს
3	თამაზ ბუთხუზი	p-i-n გადასასვლელის მიღება რადიკალურ-სხივური კვაზიეპიტაქსიის მეთოდით ZnSe/ZnO, ZnO/ZnO, ZnS/ZnO ნახევარგამტარულ სტრუქტურებზე
4	თამაზ ბუთხუზი	ZnMnSe/ZnO და ZnMnTe/ZnO სტრუქტურების მიღება რადიკალურ-სხივური კვაზიეპიტაქსიის მეთოდით
5	ნინო ფორაქიშვილი	ადამიანის ქორიონული გონადოტროპინის (აქგ) ბეტა-ჯაჭვის მუტანტურ მოლეკულაზე დაფუძნებული ანტისიმსივნური და იმუნოკონტრაცეპტული ეპიტოპ-სპეციფიკური ცაქცინის შექმნა
6	არჩილ უგულავა	არაწრფივი სისტემების ქაოსური დინამიკა მაგნიტური რელაქსაციური პროცესები ახალ პერსპექტიულ მასალებში
7	დავით ტულუში	ბიოდეგრადირებადი პოლიეთერამიდების წარმოების მაღალეფექტური ტექნოლოგიის დამუშავება და მათ საფუძველზე მიღებული ბიოსამედიცინო მასალებისა და ბიოკომპოზიტების in vivo შესწავლა
8	როლანდ ომანაძე	ზოგიერთი დისკრეტული მათემატიკური სტრუქტურის ლოგიკური ასპექტები და მათი გამოყენებები
9	დავით ალადაშვილი	კვანტური არაომური ტრანსპორტი მოუწესრიგებელ სისტემებში
10	ნუგზარ ალექსიძე	მარსის ეკოსისტემის იმიტაცია – ახალი ტექნოლოგიებისა და მეთოდების შემუშავება პლანეტის ტერაორმირებისათვის აუცილებელი ზოგიერთი პრაქტიკული ამოცანის გადასაჭრელად
11	ნანული დორეული	მეტაბოტროპული გლუტამატური რეცეპტორების (mGluR) ალოსტერული მოდულაციის როლი შიზოფრენიის მკურნალობაში
12	შოთა სამსონია	პოტენციური ფიზიოლოგიური აქტივობის ახალი არილინდოლური, პიროლოინდოლური, ბისინდოლური სისტემები და მათი წარმოებულები: სინთეზი, კვლევა
13	ანზორ ხელაშვილი	სპინის ფიზიკა: ღრმად – არადრეკადი პროცესები და პოლარიზაციული მოვლენები
14	მარიამ ელიზბარაშვილი	ურეკი-შეკვეთილის საკურორტო ზონის კომპლექსური ეკოლოგიური და მიკროკლიმატური გამოკვლევა
15	არჩილ უგულავა	შეუქცევადობა ქაოსურ კვანტურ-მექანიკურ სისტემებში რეზონატორების კვანტური ელექტროდინამიკისა და ფლოკე-სისტემების მაგალითზე
16	უშანგი გოგინავა	ჰარმონიული ანალიზის პრობლემები

ქვემოთ მოცემულია ინფორმაცია ოსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე 2008 წელს მიმდინარე საერთაშორისო სამეცნიერო ფონდების მიერ დაფინანსებული პროექტების შესახებ:

№	ხელმძღვანელი	პროექტის სახელწოდება
1	აბურჯანია გიორგი	არაგაუსისებული გადატანა, ძლიერი ტურბულენტობა და არაწრფივი მოვლენები მაგნიტოსფეროსა და იონოსფეროში. INTAS
2	ალანია მაგდა	სტომოდიალური ნერვული წრე და მისი ამინერგული პროფილი საქართველოს წურბელების სახვადასხვა სახეობებში. CRDF/GNSF
3	ანთიძე ჯემალი	პრაქტიკული ფორმალური ვერიფიკაცია ავტომატური დამტკიცებისა და მოდელების შემოწმების გამოყენებით. INTAS
4	ბერუაშვილი ციალა	კალიუმის შემცველი ახალი ტიპის სასუქის მიღების ტექნოლოგიური პროცესის შემუშავება, ექსპერიმენტული დანადგარის შექმნა, მისი გამოცდა. ISTC
5	ბილაშვილი კახაბერი	"SEADATANET" საოკეანო და საზღვაო მონაცემთა მენეჯმენტის პანევროპული ინფრასტრუქტურა. Euro Union
6	ბილაშვილი კახაბერი	SEZAMI. Euro Union
7	ბილაშვილი კახაბერი	"Askabos" შავი ზღვის რეგიონში ოკეანოგრაფიული მომსახურების საოპერაციო სტატუსის მიმართულებით შესაძლებლობათა ზრდის დამხმარე პროგრამა. Euro Union
8	ბილაშვილი კახაბერი	"Black Sea SCENE" შავი ზღვის სამეცნიერო ქსელი. Euro Union
9	ბოჭორიშვილი რამაზი	Nanoscale properties of high temperature superconducting cuprates and related compounds probed by magnetic resonance techniques. SCOPES
10	დავარაშვილი ომარი	დიელექტრიკული მდგომარეობის შექმნა ვიწროზონიან IV-VI ნახევარგამტარებში. STCU
11	დორეული ნანული	ორექსინერგული სისტემის როლი თავის ტვინის ეპილეფსიურ აქტივობაში. ISTC
12	ზარიძე რევაზი	რურალ ვინგ. FP6
13	ზარიძე რევაზი	სითბოსგამოყოფის მიზეზების შესწავლა მცირე სიმძლავრის გამოსხივებისას MMF/GSMA Dosimetry program phase II.
14	ზარიძე რევაზი	"ვოთერფაივ" დედამიწის ზონდირებისათვის მაღალი გარჩევადობის რადარული მოწყობილობის და გადაწყვეტილების მიღების ინტეგრირებული სისტემის შემუშავება წყალგაყვანილობის რეკონსტრუქციისათვის. ევროკომისია
15	ინასარიძე ნინო	ახალი კულიკულუმი გამოყენებითი ბიოლოგიური მეცნიერებებისა და ბიოტექნოლოგიის დარგში. TEMPUS
16	კაკულია დავითი	გაუმჯობესებული ელექტრომაგნიტური პირდაპირი და შებრუნებული მოდელირების მიდგომები ზედაპირს ქვემოთ მდებარე ობიექტების დეტექტირებისა და გამოვლენისათვის. CRDF/GNSF
17	კალაძე თამაზი	An investigation of ionospheric ultra-low-frequency waves. CRDF/GNSF
18	კეკელიძე ნოდარი	სამხრეთ კავკასიის მდინარეების მონიტორინგი. NATO
19	კერესელიძე თამაზი	ციურ სხეულებში კვაზიმოლეკულების რადიაციული მახასიათებლები. INTAS
20	კილურაძე ზურაბი	არაწრფივ ინტეგრო-დიფერენციალურ განტოლებათა ზოგიერთი სისტემის გამოკვლევა და რიცხვითი ამოხსნა. CRDF/GNSF

21	ლეჟავა თემური	ტელომერული ჰეტეროქრომატინის დეკონდენსაცია, როგორც ათეროსკლეროზის შემაჩერებელი. STCU
22	მაჭარაშვილი არჩილი	ალკანების სელექტიური ფუნქციონალიზაცია. ახალი თაობის მეტალოცენების პინცერულ კომპლექსებზე დაფუძნებული ალკანების დეჰიდრირების კატალიზატორების სინთეზი. ISTC
23	მეტრეველი ნუნუ	ულტრაისფერი გამოსხივების ზემოქმედება კოლაგენსა და კოლაგენ-დნმ-ის ფუნქციონალურ კომპლექსზე. NATO
24	ნიორაძე მიხეილი	ატომური და რადიაციული უსაფრთხოებისა და ატომური ტექნიკის გასაზღვრად ეფექტური საშუალებების კვლევა-ძიება და განვითარება. ISTC
25	სიდამონიძე შოთა	კალიუმის შემცველი ახალი ტიპის სასუქის მიღების ტექნოლოგიური პროცესის შემუშავება, ექსპერიმენტული დანადგარის შექმნა, მისი გამოცდა. ISTC
26	ფაღავა სამსონი	აქტივაცია და დაბალი ინტენსივობის გამა-თვლის ანალიზი. აიდაპოს სახელმწიფო უნივერსიტეტი
27	ქარქაშაძე დავითი	მეტამასალების მოდელირება და სინთეზი ელექტრომაგნეტიზმისთვის და ოპტიკისთვის. SCOPES
28	ქორიძე ავთანდილი	ასიმეტრული C-C ბმის წარმოქმნის ჰეტეროპოლიმერული კატალიზატორები. ISTC
29	ღვედაშვილი გიორგი	ინტერდისციპლინარული სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის ქსელური ინფრასტრუქტურისა და თანამედროვე დისტანციური სწავლების განვითარება ოსუ-ში. NATO
30	შენგელაია ალექსანდრე	Nanoscale properties of high temperature superconducting cuprates and related compounds probed by magnetic resonance techniques. SCOPES
31	ჭანკვეტაძე ლალი	ახალი ტიპის იზოტოპური რეაგენტების სინთეზი და მათი გამოყენება პროტეინების კვლევაში. CRDF
32	ჯაიანი გიორგი	სითხისა და დრეკადი წამახვილებული ფირფიტის (დეროს) ურთიერთქმედების არაკლასიკური ამოცანები. CRDF/GNSF
33	ჯაიანი გიორგი	ზოგიერთი არაკლასიკური ამოცანა თხელი კონსტრუქციებისათვის. INTAS
34	ჯობავა რომანი	კომპლექსური მიდგომა UXO დისკრიმინაციისადმი: კომბინირებული პროგრესული EMI გადაგზავნის და სიგნალის დამუშავების სტატისტიკური მეთოდოლოგიები. Sky Research, Inc.

4. სტიპენდიები ახალგაზრდა მეცნიერთათვის

2007 წელს საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო საბჭომ დაამტკიცა საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მიერ ერთობლივად გამოცხადებული კონკურსის **”ახალგაზრდა მეცნიერთათვის პრეზიდენტის სამეცნიერო გრანტები”** ფარგლებში დასაფინანსებლად შერჩეული პროექტების ნუსხა. მათ შორის ოსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ახალგაზრდა მეცნიერები:

№	ავტორი	პროექტის სახელწოდება
1	ზურაბ კილურაძე	არაწრფივ ინტეგრო-დიფერენციალურ განტოლებათა ზოგიერთი სისტემის გამოკვლევა და რიცხვითი ამოხსნა
2	გიორგი ჭელიძე	კომპაქტური ვექტორული შეჯამებადობა და გადანაცვლებადი ბანახ-საქსის თვისება.
3	ანა დანელია	ანალიზის ზოგიერთი საკითხი ფრაქტალურ სიმრავლეებზე
4	მაგდა ცინცაძე	არამკაფიო ინფორმაციის დამუშავების მათემატიკური თეორია
5	შორენა სამაკაშვილი	მოდულირებული მონოლითური კვარცის სვეტების მომზადება ჩონჩხისა და გამტარი ფორების რეგულირებით ენანატიომერული ნარეგების დაყოფის პროცესების პრაქტიკული და თეორიული ასპექტების კვლევის მიზნით
6	ნოდარ სურგულაძე	ბირთვული ფერიტინისა და მისი პოსტტრანსლაციური მოდიფიკაციის როლის შესწავლა უმაღლეს ეუკარიოტებში

2007 წელს საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო საბჭომ დაამტკიცა საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მიერ ერთობლივად გამოცხადებული კონკურსის **”ახალგაზრდა მეცნიერთათვის ივანე ბერიტაშვილის მოსაპოვებლად”** ფარგლებში დასაფინანსებლად შერჩეული სტიპენდიატთა ნუსხა. მათ შორის ოსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ახალგაზრდა მეცნიერები:

№	სტიპენდიანტები
1	ნინა კულიკოვა
2	ნოდარ სურგულაძე

2008 წლის 2 დეკემბერს საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო საბჭომ რიგით მე-10 სხდომაზე დაამტკიცა საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მიერ ერთობლივად გამოცხადებული კონკურსის **”ახალგაზრდა მეცნიერთათვის ილია ვეკუას სტიპენდიის მოსაპოვებლად”** ფარგლებში დასაფინანსებლად შერჩეული სტიპენდიატთა ნუსხა. მათ შორის ოსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ახალგაზრდა მეცნიერები:

№	სტიპენდიანტები
1	გიორგი ღვედაშვილი
2	მარიმ ავალიშვილი
3	გია ავალიშვილი
4	მიხეილ წიკლაური
5	ზურაბ კილურაძე

6	ანა დანელია
7	გიორგი ჭელიძე

ახალგაზრდა მეცნიერთა მხარდაჭერის ეროვნულ პროგრამა აშშ სამოქალაქო კვლევებისა და განვითარების ფონდისა (CRDF), და საქართველოს სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების ფონდის (სსგფ) თანამონაწილობით დაფინანსდა ოსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ახალგაზრდა მეცნიერების შემდეგი პროექტები:

№	ავტორი	პროექტის სახელწოდება
1	ნოდარ სურგულაძე	სიმსივნური თერაპიის ახალი სამიზნე: ბირთვული ფერიტინის ტრანსლაციის კონტროლი
2	ზურაბ კილურაძე	არაწრფივ ინტეგრო-დიფერენციალურ განტოლებათა ზოგიერთი სისტემის გამოკვლევა და რიცხვითი ამოხსნა
3	ქეთევან ჯარიაშვილი	თავისუფალი რადიკალების ზემოქმედების შესწავლა კოლაგენსა და კოლაგენის მოდელურ პეპტიდებზე
4	გიორგი სახელაშვილი	მრავალ-ნაწილაკოვანი დინამიკის შესწავლა სხვადასხვა ტიპის (ერთ და მრავალელექტრონიან) იონიზაციის პროცესებში რამოდენიმე დამჯახებელი წყვილისათვის კინემატიკურად სრულყოფილი ექსპერიმენტის საშუალებით.

5. კონფერენციები

29 მაისი - სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია ბიოლოგიაში

გაიმართა პ.ქომეთიანის ხსოვნისადმი მიძღვნილი სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია. ორგანიზატორი ასოც.პროფ. ნანა კოშოროძე

3 ივნისი - სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია გენეტიკის აქტუალურ საკითხებზე



სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია გენეტიკის აქტუალურ საკითხებზე. მონაწილეობდნენ ბიოლოგიის მიმართულებისა და თსუ მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტები. ორგანიზატორი პროფ. თეიმურაზ ლეჟავა

სექტემბერში ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე ჩატარდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებიდან 90 წლისთავისადმი სამეცნიერო კონფერენციები ფიზიკაში, ქიმიაში, ბიოლოგიაში, გეოგრაფიაში, გეოლოგიაში, მათემატიკასა და ინფორმატიკაში. <http://www.science.tsu.ge/conferense90/conference.htm>

18 სექტემბერი - სამეცნიერო კონფერენცია ქიმიაში

ჩატარდა თსუ 90 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია ქიმიაში "ნივთიერებები და მასალების სპეციფიკური თვისებებით მეორეადი ნედლეულის და წარმოების ნარჩენების ბაზაზე". საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე პროფ. ნოდარ ლეკიშვილი.

კონფერენცია წარმოდგენილი იყო სამ სექციად:

1. ბიო და კატალიზური აქტიური ნაერთები მეორეადი ნედლეულის ბაზაზე
2. სპეციფიკური თვისებების ნივთიერებები წარმოების ნარჩენების ბაზაზე
3. მიკრო ნა ნანო მასალები და ნაერთები წარმოების ნარჩენების ბაზაზე

კონფერენციაზე მოწვეული მომხსენებლები:

Witold Brostow	USA, Prof. Dr., Denton, North Texas University; Chair of the Scientific Committee of World Forum on Advanced Materials – "POLYCHAR",
Natalia D. Oltarzhevskaya	Russia, Prof. Dr., Moscow Textile Institute;
German E. Krichovski	Russia, Prof. Dr., Moscow Textile Institute;
Valeh Jafarova	Azerbaijan, Dr. Chem. Sciences, Azerbaijan, Vice Director of the Sumgaiti Institute of Polymer Materials;
Ulmaz Gafurov	Uzbekistan, Institute of Polymer Physics and Chemistry UNAS, Professor, Doctor of Chemical Sciences;
Ramaz Katsarava	Georgia, Head of the Center of Biomedical Materials, Georgian Technical University, Professor, Doctor of Chemical Sciences;

22-25 სექტემბერი - სამეცნიერო კონფერენცია ფიზიკაში

ჩატარდა თსუ 90 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია ფიზიკაში.


<http://www.phys08.tsu.ge/>

მმართველი კომიტეტის თავმჯდომარე - კახაბერ თავზარაშვილი; საორგანიზაციო კომიტეტი თავმჯდომარე - ირაკლი ნოსელიძე; სამეცნიერო კომიტეტი თავმჯდომარე - ალექსანდრე შენგელაია.

კონფერენციაზე წარმოდგენილი იყო შემდეგი სექციები:

1. ფუნდამენტური ფიზიკა; თავმჯდომარე – თამაზ კერესელიძე;
2. პირდაპირი და შებრუნებული ამოცანები ელექტრომაგნეტიკასა და აკუსტიკური ტალღების თეორიაში (DIPED-2008); თავმჯდომარე – რევაზ ზარიძე;

3. მასალათმცოდნეობა – გამოწვევები და შესაძლებლობები; თავმჯდომარე – თამარ ჭელიძე; თანათავმჯდომარე - ეკატერინე ჩიკოიძე
 4. მაკრომოლეკულების და მათი კომპლექსების ბიოფიზიკა; თავმჯდომარე – თამაზ მძინარაშვილი;
- კონფერენციაზე წარმოდგენილი იყო ზეპირი და სასტენდო მოხსენებები. კონფერენციის მასალები და მოხსენებათა თეზისები შეგიძლიათ იხილოთ ვებ მისამართზე: <http://www.phys08.tsu.ge/Materials.htm>



26-28 სექტემბერი - საერთაშორისო კონფერენცია მათემატიკაში

29-30 სექტემბერს გაიმართა ოსუ 90 წლისთავისა და ილ.ვეკუას სახ. გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის დაარსებიდან 40 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია.

ორგანიზატორები:

- ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
- ოსუ, ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი
- საქართველოს მათემატიკოსთა კავშირი
- თეორიული და გამოყენებითი მათემატიკის საქართველოს ეროვნული კომიტეტი
- მათემატიკის და ინფორმატიკის თბილისის საერთაშორისო ცენტრი

მონაწილეობა და მხარდაჭერა:

- INTAS
- საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი
- საქართველოს სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების ფონდი (CRDF/GRDF)

კონფერენციაზე წარმოდგენილი იყო შემდეგი სექციები:


სექტემბერი, 26-28

- ფუნდამენტური მათემატიკა და მათემატიკური ლოგიკა
- გამოყენებითი ლოგიკა და პროგრამირება
- ფუნქციათა თეორია
- გამოთვლითი მექანიკა

ოქტომბერი 7-9

- ალგებრა და რიცხვითი თეორია
- კომპლექსური ანალიზი და გამოყენება
- დიფერენციალური განტოლებები და ოპტიმალური კონტროლი
- კერძო დიფერენციალური განტოლებები
- ალბათობა და მათემატიკური სტატისტიკა
- მყარი სხეულების მექანიკა
- თხელი სტრუქტურების ზოგიერთი არაკლასიკური ამოცანა
- გარსების და ფირფიტების თეორია
- ჰიდრომექანიკის მათემატიკური პრობლემები
- მათემატიკური ფიზიკისა და უწყვეტ გარემოთა მექანიკის მარავალველიანი ამოცანები
- მყარ და თხევად გარემოთა ურთიერთქმედების ამოცანები
- მათემატიკური მოდელირება და რიცხვითი ანალიზი

30 სექტემბერი - სტუდენტთა და მოსწავლეთა სიმპოზიუმი



ბიოლოგიის მიმართულეზაზე გაიმართა სტუდენტთა და მოსწავლეთა II სიმპოზიუმი: **”ღეროვანი უჯრედები და ტრანსპლანტაციის პრობლემები”**. სიმპოზიუმი ორგანიზებული იყო ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორის დ. ძიძიგურის მიერ. სიმპოზიუმი მიემდგნა ოსუ დაარსების 90 წლისთავს. მასში მონაწილეობას ღებულობდნენ როგორც ოსუ ბაკალავრიატის, ასევე მაგისტრატურის სტუდენტები და თბილისის საჯარო სკოლის მოსწავლეები.

1 ოქტომბერი - საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია გეოგრაფიაში

ჩატარდა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: **”მთის ნიადაგები: დაცვა და მდგრადი მართვა”**. კონფერენციის ორგანიზატორი - ოსუ ნიადაგების გეოგრაფიისა და ნიადაგმცოდნეობის ლაბორატორიის გამგე, პროფ. თენგიზ (გიზო) ურუშაძე.

3-4 ოქტომბერი - საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ბიოლოგიაში

ჩატარდა სამეცნიერო კონფერენცია **”ექსპერიმენტული და თეორიული ბიოლოგიის აქტუალური საკითხები”**. კონფერენციაზე წარმოდგენილი იყო ზეპირი და სასტენდო მოხსენებები. კონფერენციის მასალები (თეზისები ქართულ და ინგლისურ ენებზე) გამოიცა კრებულის სახით. საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე - რუსუდან ინჭვირველი

3 ოქტომბერი - სამეცნიერო სესია


სამეცნიერო სესია მიემდგნა პროფესორ ილია გვერდწითელის დაბადებიდან 100 წლისთავს, პროფ. ნინო ციციშვილის დაბადებიდან 120 წლისთავს, პროფ. ალექსანდრე ნოლაიდელის დაბადებიდან 100 წლისთავს, პროფ. ალექსანდრე კახნიაშვილის დაბადებიდან 110 წლისთავს

სხდომა გაიმართა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჯავახიშვილის სახელობის აუდიტორიაში

დღის წესრიგი:

1. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წ/კ, პროფესორი ილია გვერდწითელი – მეცნიერი, მეცნიერების ორგანიზატორი – პროფ. შოთა სამსონია
2. პროფესორ ნინო ციციშვილის სამეცნიერო მოღვაწეობა – პროფ. დალი წაქაძე
3. პროფესორ ალექსანდრე ნოლაიდელის სამეცნიერო მოღვაწეობა – დოცენტები ლიანა ნაკაძე, რუსიკო ტყეშელაშვილი
4. პროფესორ ალექსანდრე კახნიაშვილის სამეცნიერო მოღვაწეობა – დოცენტები დალილა ფარჯიკია, ლამარა ჯიბლაძე, ელენე ჩიქოვანი
5. გამოსვლები

13-15 ოქტომბერი - სამეცნიერო კონფერენცია კომპიუტინგში (ინფორმატიკა ზოგადად)



ჩატარდა სამეცნიერო კონფერენცია კომპიუტინგში (ინფორმატიკა ზოგადად) პროგრამული კომიტეტი: გ.სირბილაძე (თავმჯდომარე), მ.ხაჩიძე, კ.გელაშვილი, ა.სიხარულიძე, რ.გრიგოლია, ნ.ოდინელიძე, ი.ხუციშვილი. საორგანიზაციო კომიტეტი: მ.ხაჩიძე (თავმჯდომარე), კ.გელაშვილი, გ.სირბილაძე, ნ.არჩვაძე, ა.გამყრელიძე, ბ.ღვახერძიძე, ზ.კილურაძე, თ.დავითაშვილი, ა.ჩიტალაძე, ა.სიხარულიძე.

14-16 ოქტომბერი - საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია გეოგრაფიაში

ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 90 წლის იუბილესადმი მიძღვნილ ღონისძიებათა ფარგლებში, გეოგრაფიის მიმართულებით, ა.წ. 14-16 ოქტომბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტისა და ალ. ჯავახიშვილის სახ. საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების ინიციატივით ჩატარდა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია **”მთიანი რეგიონების გეოგრაფიის აქტუალური საკითხები”**. კონფერენცია მიემდგნა ცნობილი გეოგრაფის, გეომორფოლოგისა და კარსტოლოგის, საქ. მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფ. ზ. ტატაშიძის 80 წლისთავს. კონფერენციის ორგანიზატორი და ხელმძღვანელი - ოსუ სრული პროფესორი, ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტის

სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, გ.მ.დ. რამინ გობეჯიშვილი

15 ოქტომბერი - მე-5 საერთაშორისო სიმპოზიუმი ” დაბერების გენეტიკა”

15 ოქტომბერი - მე-5 საერთაშორისო სიმპოზიუმი ” დაბერების გენეტიკა”. სიმპოზიუმი მიემდგვნა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების 90-წლისთავს, მასალები გამოიცა კრებულის სახით. (საორგანიზაციო კომიტეტი: თ. ლეჟავა, ლ. ახვლედიანი, ნ. ბარათაშვილი, ნ. დვალისხელი, ა. დიასამიძე მ.გაიოზიშვილი, თ. ჯოხაძე, რ.ხუბუნიანი, მ. ქორიძე, დ.მიქელაძე, მ. შენგელია, მონასელიძე, ნ.ფორაქიშვილი, ა. შათირიშვილი, ნ.ზოსიძე)

20 ოქტომბერი - საბავშვო უნივერსიტეტი - მოსწავლეთა კონფერენცია ” ნორჩი ბიოლოგი”

20 ოქტომბერი -საბავშვო უნივერსიტეტის ფარგლებში ჩატარდა მოსწავლეთა კონფერენცია ”ნორჩი ბიოლოგი”. მონაწილეობდნენ თბილისის საჯარო სკოლებისა და ქართულ-ამერიკული ”მომავლის სკოლის” მოსწავლეები. წარმოდგენილი იყო ზეპირი და სასტენდო მოხსენებები. კონფერენციის მონაწილეებს გადაეცათ სათანადო სერტიფიკატები,დაფუძნდა”ნორჩი ბიოლოგთა” სკოლა. კონფერენციის დამთავრების შემდეგ მოწვეულმა სტუმრებმა საგამოფენო დარბაზში დაათვალიერეს მოსწავლეთა ნახატები და ხელნაკეთი ნამუშევრები. საორგანიზაციო კომიტეტი: რ. ინჭკირველი, მ. შენგელია, ე.მითაიშვილი, ნ.არჩვაძე, ნ.დვალისხელი, დ. ძიძიგური

24-31 ოქტომბერი - კონფერენცია ადრონის ფიზიკაში CGSWHP'08




გაიმართა III კავკასია-გერმანიის კონფერენცია ადრონის ფიზიკაში CGSWHP'08

<http://www.fz-juelich.de/ikp/cgswhp/cgswhp08/index.shtml>

27 ნოემბერი – სტუდენტთა რესპუბლიკური კონფერენცია გეოგრაფიაში

27 ნოემბერს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 90 წლის იუბილესადმი მიძღვნილ ღონისძიებათა ფარგლებში გეოგრაფიისმიმართულეზაზე ჩატარდა სტუდენტთა I რესპუბლიკური სამეცნიერო „საქართველოს ნიადაგი – ერის საუნჯე“. კონფერენციის ორგანიზატორი – თსუ ნიადაგების გეოგრაფიისა და ნიადაგმცოდნეობის ლაბორატორიის გამგე, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფ. თენგიზ (გიზო) ურუშაძე.

19 დეკემბერი - სტუდენტთა 68-ე სამეცნიერო კონფერენცია ფიზიკაში



19 დეკემბერს გაიმართა სტუდენტთა 68-ე სამეცნიერო კონფერენცია ფიზიკაში. ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ფიზიკის მიმართულეზის სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციის მონაწილეთა მოხსენების თეზისები წარმოდგენილია ფაკულტეტის ვებ გვერდზე: <http://moodle.science.tsu.ge/>

6. სემინარები

ფაკულტეტზე რეგულარულად იმართებოდა სამეცნიერო სემინარები. რომელზეც მოხსენებით გამოდიოდნენ როგორც ოსუ აკადემიური პერსონალი ასევე სხვა ქართველი და უცხოელი მეცნიერები:

ფიზიკა		
თარიღი	მომხსენებელი	თემა
05.03.2008	რამაზ ხომერიკი	არაწრფივი ბისტაბილურობა
12.03.2008	ნანა შათაშვილი	წყნარი და კატასტროფული მოვლენები ვარსკვლავთა ატმოსფეროებში
19.03.2008	გია მაჩაბელი	მაგნეტარები
26.03.2008	ილია ლომიძე	რელატივისტურად მბრუნავი ობიექტის ენერგია და იმპულსი
02.04.2008	თამაზ კერესელიძე	ინერტული გაზების მრვალჯერადი იონიზაცია ელექტრონებით
10.04.2008	მირიან ტაბიძე	პოლარიზებულ ანტიპროტონთა ნაკადები და პროტონის სტრუქტურის შესწავლა
16.04.2008	თამარ ჭელიძე	ნახევარგამტარული კვანტური ნანოსტრუქტურები
23.04.2008	რევაზ ზარიძე	კომპლექსური მასალები ფოტონური აკრძალული ზონებით და მათი გამოყენება მიკრო- და ოპტო-ელექტრონიკაში
30.04.2008	ამირან ბიბილაშვილი	მიკრო- და ნანოტექნოლოგიების თანამედროვე საკითხები
05.05.2008	ვახტანგ ჯანდიერი	ორ-განზომილებიან პერიოდულ სტრუქტურებში ელექტრომაგნიტური ტალღების გაბნევისა და გამოსხივების პრობლემის შესწავლა
07.05.2008	ალექსანდრე შენგელაია	მაღალტემპერატურული ზეგამტარობა
08.05.2008	ეკა ჩიკოიძე	მაგნიტური ნახევარგამტარები : Zn1-XMnXO
14.05.2008	არჩილ უგულავა	დინამიური ქაოსი
19.05.2008	ფრიდონ შუბითიძე	დარტმუსის უნივერსიტეტის პროფესორი, აშშ აუფეთქებელი ნაღმების დეტექტირება და დისკრიმინაცია
20.05.2008	რ.ნოაკი	ზოგიერთი ძველი და ახალი რამ ძლიერად კოლერირებული ელექტრონების ერთგანზომილებიან მოდელში (გერმანია)
28.05.2008	ანზორ ხელაშვილი	ფარული დინამიური სიმეტრიები
04.06.2008	ანატოლი ახალკაცი	ფერომაგნიტურ ნივთიერებებში მაგნიტორეზონანსული შთანთქმის თავისებურებანი
11.06.2008	გია ჯაფარიძე	კვანტური მავთული სპინ-ორბიტული ურთიერთქმედებით - როგორც სპინური ელექტრონიკის მაგალითი
13.06.2008	ლერი ქურდაძე	(მეთოდური სემინარი) " $E=mc^2$ - გაუგებრობის ასი წელი
25.06.2008	ავთო თავხელიძე	კვანტური მდგომარეობების გაუხშობა ნახევარგამტარულ კვანტურ ჭებში
15.07.2008	ანრო კაჭარავა	FAIR პროექტი (საინფორმაციო სემინარი)

04.08.2008	კურტ ბუში	გერმანიის კარლსუეს უნივერსიტეტის მყარი სხეულის ფიზიკის ინსტიტუტის პროფესორი, "ფოტონიკები"
19.11.2008	ზაალ მაჭავარიანი	დამუხტული ნაწილაკებით ორელექტრონიანი ატომური და მოლეკულური სისტემების ერთჯერადი და ორჯერადი იონიზაცია
ბიოლოგია		
თარიღი	მომხსენებელი	თემა
27.03.08	შამილ შეთეკაური	თეთრობ-ჭობარეთის კირქვიანი ფლორის მრავალფეროვნება (ჯავახეთის ზეგანი).
10.04.08	დავით მიქელაძე	Ras-ონკოგენის ცილოვანი პროდუქტების პოსტტრანსლაციური მოდიფიკაციები.
17.04.08	ნინო ფორაქიშვილი	ქრონიკული ლიმფოციტური ლეიკემიის (β-ქლლ) იმუნოთერაპია.
22.04.08	სულხან ცაგარელი	ვირთაგვათა ფიქსირებული განწყობა და განსჯითი ქცევები.
2.05.08	პავლე ჭელიძე	რიბოსომული რნმ-ს ტრანსკრიპციის და პროცესინგის კარტირება. რ-ქრომატინის ზემოლექულური სტრუქტურა.
8.05.08	არნოლდ გეგეჩკორი	ირან-თურანის არიდული ფლორა-ფაუნის დედამიწაზე ტაქსონთა წარმოშობის უმძლავრესი ცენტრის გავლენა კავკასიის სიმშრალის მოყვარულ ცოცხალ ორგანიზმებზე (Psyllodea-ს მაგალითზე).
15.05.08	მიხეილ გედევანიშვილი	გრანულოციტური უჯრედების მობილიზაცია ლითიუმით
27.05.08	თეიმურაზ ლუქავა	დაბერების გენეტიკის საკითხები
12.06.08	მერაბ ცაგარელი	ტკივილის ნეირობიოლოგიური მნიშვნელობა.
19.06.08	გია ქაჯაია	მიკროტაქსონომია და სახეობების პოპულაციური სტრუქტურა.
03.07.08	ნანა დორეული	ეპილეფსიის ენდოგენური მოდულატორები: ორექსინერგული სისტემა.
10.07.08	დიანა ძიმიგური	Helix lukorum-ის ჰეპატოპანკრეასის ჰისტოარქიტექტონიკის და რეგენერაციის ზოგიერთი ასპექტები
25.09.08	ნინო გაჩეჩილაძე	იმუნური მექანიზმები ინსულინ-დამოკიდებული შაქრიანი დიაბეტის პათოლოგიაში.
09.10.08	თინათინ ჯოხაძე	ეპიგენეტიკური მემკვიდრეობითობა
23.10.08	მანანა ჭიპაშვილი	მოდრაობის შეზღუდვით გამოწვეული სტრესის პირობებში ვირთაგვას თავის ტვინის ზოგიერთი ფერმენტის აქტივობა
30.10.08	მარიამ გაიდამაშვილი	ლექტინები, როგორც მცენარის დამცველობითი ცილები.
13.11.08	ნანა კოტრიკაძე	მიტოქონდრიული დარღვევები და პროსტატის სიმსივნე.
27.11.08	ნანა კომორიძე	თიროიდული ჯირკვლის HCO ₃ ⁻ ატფ-აზური აქტივობის ცვლილება ჯირკვლის პათოლოგიებში.
04.12.08	მანანა გორდეზიანი	Nocaria-ს შტამის უჯრედების სტაბილობის შესწავლა სხვადასხვა ფაქტორების ზემოქმედებით.
18.12.08	დევი გამრეკელი	ფარისებრი ჯირკვლის განსხვავებული პათოლოგიის პაციენტების ლიმფოციტებში თავისუფალ-რადიკალური ჟანგვის სტატუსი

კომპიუტერული მეცნიერებები		
თარიღი	მომხსენებელი	თემა
21.03.2008	გია სირბილაძე	გადაწყვეტილების მიღების მეთოდები ზოგად განუსაზღვრელ გარემოში
28.03.2008	რევაზ გრიგოლია	ფაზი ლოგიკა
04.04.2008	თემურ ცაბაძე	ბინარული არამკაფიო მიმართებათა რედუქცია და მისი გამოყენება
11. 04.2008	ალექსანდრე გამყრელიძე	კომპიუტერული ტოპოლოგიის ამოცანები
18.04.2008	კობა გელაშვილი	მატრიცული თამაშების ამოხსნის ალგორითმები
02.05.2008	ლევან კასრაძე	ინფორმაციის მოძიება და საძიებო სისტემები
16.05.2008	ჯემალ ანთიძე	ქართული ენიდან მანქანური თარგმანი
23.05.2008	ტატიანა კისელიოვა	არამკაფიო მეთოდები მოზარდების ჯანმრთელობის გამოკლევისთვის საქართველოში
02.06.2008	ლუკა სპადა	ფიქსირებული წერტილები კომპიუტერულ მეცნიერებებში: მრავალნიშნა ლოგიკის მიხედვით
23.10.2008	თემურ ცაბაძე	არამკაფიო სიმრავლეების სასრული ერთობლიობის თანხმობის ინდექსი
13.11.2008	მანანა ხაჩიძე	CODATA სამეცნიერო ინფორმაცია საზოგადოებისათვის - დღევანდელიდან მომავლისაკენ


7. ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამა

”საუნივერსიტეტო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამის” ფარგლებში გამოცხადებული ტენდერი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სასწავლო ლაბორატორიების აღჭურვის მიზნით ხელსაწყოების შესყიდვისათვის, განსაკუთრებულ შემთხვევა გახლდათ, რომლის პრეცედენტი უნივერსიტეტში არ ყოფილა მრავალი ათეული წლის განმავლობაში. არ მომხდარა სასწავლო ლაბორატორიებისთვის თანამედროვე აღჭურვილობის შექმნა და არსებულის განახლება. ამრიგად, აღნიშნული პროექტის განხორციელება დროული და განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი იყო. პროექტის ფარგლებში წარმოდგენილი სატენდერო წინადადება მოიცავდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების დარგის სპეციალისტების მიერ შედგენილ სხვადასხვა დანიშნულების თანამედროვე, სპეციფიკურ აპარატურა/ხელსაწყოებს და თვალსაჩინოებებს.

პროექტის ფარგლებში უკვე მოხერხდა ორი უმნიშვნელოვანესი ხელსაწყო შექმნა, ფიზიკური თვისებების გამზომი ხელსაწყო და სამმაგი კვადრუპოლის მქონე მას სპექტრომეტრი, რომელთა ბაზაზე დაგეგმილია ინტერდისციპლინული კვლევითი ცენტრის შექმნა. თანამედროვე სასწავლო ხელსაწყოებით აღიჭურვა ქიმიის, ბიოლოგიის და გეოგრაფიის სასწავლო ლაბორატორიების, სადაც სტუდენტებს საშუალება მიეცემა დაეუფლონ კვლევის ახალ ტექნოლოგიებს. ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ინფრასტრუქტურის განვითარების კომისია აგრძელებს თავის მუშაობას და მომავალში გეგმავს სხვადასხვა ფონდებიდან მოზიდული თანხებით უკვე არსებული ინფრასტრუქტურული ბაზის გაფართოებას.



ფიზიკური თვისებების გამზომი ხელსაწყო



სამმაგი კვადრუპოლის მქონე მას სპექტრომეტრი

8. დამატებითი საქმიანობა

„საბავშვო უნივერსიტეტის“ ფარგლებში რეგულარურად იმართებოდა საჯარო ლექციები და ლაბორატორიული მეცადინეობები მოსწავლეებისათვის მიმართულების მიხედვით.